

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

**ოქმი №1**

ქ. მარტვილი

28 იანვარი, 2021 წელი

სხდომა დაიწყო 12:00 სთ-ზე დამთავრდა 14:00 სთ-ზე

**სხდომას ესწრებოდნენ:** ალექსი გაბისონია, ალექსანდრე ახვლედიანი, ზურაბ მელიავა, რამაზ ხურცილავა, თორნიკე ჯანაშია, გიორგი გაბუნია, ლაშა ქობალია, ლევან სურმავა, რომან ფონიავა, ირინა გადელია, კობა დარჯანია, ზურაბ ბიგვავა, ელიზბარ ახვლედიანი, დავით ბარამია, შალვა ბახია, გოგი ბასილაია, გოჩა ლაშხია, ზაზა რუხაია, ნატო ჯღარკავა, ვარლამ ცეკვავა, მიხეილ ნაჭყებია.

ასევე ესწრებოდნენ: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ალექსანდრე ხურცილავა, საკრებულოს აპარატის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები.

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ალექსი გაბისონია.

**მოისმინეს 1:** სხდომის თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი და სთხოვა საკრებულოს წევრებს აზრი გამოეთქვათ დღის წესრიგთან დაკავშირებით.

დღის წესრიგთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე. კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 20, წინააღმდეგი 0, თავი შეიკავა 1.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 იანვრის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

/„მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 იანვრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 იანვრის განკარგულება №1 სხდომის ოქმს თან ერთვის.

**დღის წესრიგი:**

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 იანვრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;  
/მომხსენებელი-ალექსი გაბისონია, საკრებულოს თავმჯდომარე/
2. „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 18 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;  
/მომხსენებელი-ალექსანდრე ხურცილავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე/
3. „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი-ალექსანდრე ხურცილავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე/

4. შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი-ალექსანდრე ხურცილავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე/

5. შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი-ალექსი გაბისონია, საკრებულოს თავმჯდომარე/

**მოისმინეს 2:** მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ალექსანდრე ხურცილავას მოხსენება „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 18 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებული გარდამავალი ნაშთი 2020 წლის პირველი იანვრისათვის შეადგენს 1646850 ლარს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერების ნაშთი შეადგენს 562697 ლარს და 40 თეთრს, მ.შ. 2018 წლის N136 განკარგულების ნაშთი 2799 ლარი, სტიქიის შედეგების ლიკვიდაციისთვის გამოყოფილი თანხების ნაშთი შეადგენს 352 720 ლარს, ჯამში 9803,11 ლარს, რომელიც გათვალისწინებულია სახელმწიფო ბიუჯეტში დასაბრუნებლად, ხოლო 1084153 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთია.

აქედან გამომდინარე მუნიციპალიტეტის 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის გადასახდელები უნდა გაიზარდოს გარდამავალი ნაშთით 1636994 ლარის და 29 თეთრის ოდენობით და უნდა მიიმართოს სხვადასხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად და ჩამოთვალა ჩამოთვალა დასაფინანსებელი სხვადასხვა ღონისძიებები.

საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

**აზრი გამოთქვა:** საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ მელიაევამ, რომელიც დაეთანხმა აღნიშნულ ცვლილებას.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა გაეცლოთ საკითხის წინ რეგისტრაცია.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 19, წინააღმდეგი 0, თავი შეიკავა 1.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 18 დეკემბრის №16

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი წარმოდგენილი სახით.

/„მარტვილის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 18 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 იანვრის დადგენილება N სხდომის ოქმს თან ერთვის./

**მოისმინეს 3:** მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ალექსანდრე ხურცილავას მოხსენება „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან

სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

**აზრი გამოთქვას:** საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ გიორგი გაბუნიაშვილმა და დაეთანხმა წარმოდგენილ პროექტს.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა გაეცლოთ საკითხის წინ რეგისტრაცია.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიაშვილმა აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 19, წინააღმდეგი 0, თავი შეიკავა 1.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი წარმოდგენილი სახით.

/„მარტვილის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 იანვრის დადგენილება N2 სხდომის ოქმს თან ერთვის./

**მოისმინეს 4:** მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ალექსანდრე ხურცილავას მოხსენება „შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა გაეცლოთ საკითხის წინ რეგისტრაცია.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე. კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 19, წინააღმდეგი 0, თავი შეიკავა 1.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს „შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით.

/„შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 იანვრის N2 განკარგულება სხდომის ოქმს თან ერთვის.

**მოსმინეს 5:** მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ალექსი გაბისონიას მოხსენება „შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა გაეცლოთ საკითხის წინ რეგისტრაცია.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე. კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 19, წინააღმდეგი 0, თავი შეიკავა 1.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს „შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტი“ წარმოდგენილი სახით.

/„შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 იანვრის N3 განკარგულება სხდომის ოქმს თან ერთვის.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალექსი გაბისონია

